

„კილო არის ყველაფერი“: გამშვენება ქართულ გალობაში

შესავალი

ამბობენ, რომ ქართულ გალობაში „კილო ყველაფერია“,¹ ანუ „გალობის საფუძველი არის კილო, მის ჟღერადობაზე ფარულად არის დამოკიდებული ყველა ხმის მოძრაობა“.² ინგლისურად „კილო“ ითარგმნება, როგორც „mode“, თუმცა ეს არ არის დასავლეთში მიღებული ამ ცნების არც ერთი განმარტების ზუსტი ეკვივალენტი, ამიტომ ამ ტერმინს თარგმანის გარეშე ვტოვებ. კილოს აქვს ორი ძირითადი განზომილება: ბგერათრიგი და სტილი. ეს არის არა ბგერათრიგის, არამედ სტილის კვლევა.³ როგორც ჩანს, სტილის პარამეტრიც ორად იყოფა: რეგიონის ან ოჯახის (მაგალითად, „გურული კილო“) და „გამშვენების“ არსებობისა და ხარისხის მიხედვით. ზოგი მეცნიერი ამბობს, რომ პრინციპში არსებობს ერთი კილო ნამდვილი ანუ სადა, რომელიც შეგიძლია გაამშვენო.⁴ სხვები თვლიან, რომ ნამდვილი და სადა ცალ-ცალკე კილოებია.⁵ ზოგიერთი მორთულ საგალობელს მოიხსენიებს, როგორც ჭრელს (გამშვენებულს) (Erkvanidze, 2006, viii). თუ კილო ყველაფერია, მაგრამ ვერ ვთანხმდებით, თუ რამდენი არსებობს გამშვენების თვალსაზრისით — ერთი, ორი თუ სამი — მაშინ აშკარად სახეზეა კვლევის პრობლემა.

პრობლემა უფრო გაღრმავდება, თუ გავითვალისწინებთ, პირველ რიგში, რას შეიძლება ნიშნავდეს მორთულობა. ზოგი მკვლევარი თვლის რომ ის სწორედ გამშვენებას აღნიშნავს (ნმინდა ექვთიმე: 190), სხვების აზრით, ეს არის იმპროვიზაცია, რომელიც ინარჩუნებს გარკვეულ სტრუქტურულ მომენტებს.⁶ ეს აღწერილობები ეხება მათ მიერ ციტირებულ ორნამენტაციის გარკვეულ შემთხვევებს; თუმცა, ორნამენტაციის სხვა, საყოველთაოდ აღიარებულ, შემთხვევებში დადგენილი წესი ან სტრუქტურული მომენტები არ არსებობს. დადგენილი წესი ან სტრუქტურა შეიძლება გამოირიცხოს მოკლე პასაჟების გადალაგებით (შეად. ჩხიკვიშვილი და რაზმაძე, 2010: 204 და 205), ზომების დამატებით (იქვე: 242 და წმ. ექვთიმე: №4) ან მთელი ფრაზების დამატებით (შეადრ, წმ. ექვთიმე: 529 და 535). დადგენილი წესის არარსებობა ნიშნავს მთლიანად კილოს არარსებობას, როგორც ზოგიერთი განმარტავს. მაშინ რა არის კილო, რა არის გამშვენება ქართულ გალობაში და რა კავშირში არიან ისინი ერთმანეთთან? წინამდებარე ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი, რომ კილო და ორნამენტი განისაზღვრება კავშირში გეშტალტის

¹ მალხაზ ერქვანიძე, პირადი საუბრიდან..

² კილო არის საფუძველი გალობისა, რომლის ხმის ძარღვდეს ყველა ხმის მიმოხრანი დამოკიდებული არიან (წმ. ექვთიმე. ლიტურგია მღვდელმთავართათვის და მღვდელთათვის. მთელი წლის წირვის საგალობლები. პარტიტურა. წიგნი 1, 1900-1932. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q674.

³ ქართული გალობის კილოს, როგორც ბგერათრიგის პრობლემის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერქვანიძემ (Erkvanidze, 2008) და კეინმა და შერბაუმმა (Kane and Scherbaum, 2018).

⁴ თუმცა შულღიაშვილის მთარგმნელი ია იაშვილი და ინგლისური ტექსტის რედაქტორი ჯონ გრემი მითითებენ სამი დამოუკიდებელი კილს არსებობაზე, (Shugiashvili, 2014 : XXV) შულღიაშვილი უარყოფს ამ აზრს და ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ “ნამდვილ კილოს” სხვაგვარად „სადა კილოს“ ან კილო გალობას“ უწოდებენ (იქვე: XIII, N10). ეს შენიშვნა ამოღებულია მთარგმანიდან. ის ასევე, ამბობს, რომ „გამშვენებული კილო არ არის ცალკე კილო“. ინტერვიუ, 1 აგვისტო, 2019.

⁵ ნამდვილი (მარტივი, სასწავლებელი) კილო, ასევე იწოდება საბავშვო კილოდ (Erkvanidze, 2008, XIX N5).

⁶ David Shugiashvili, interview, August 1, 2019.

ორ სახეობასთან სახელწოდებით *მუხლები*;⁷ ისინი მითითებულია, მაგრამ არ არის ახსნილი წმ. ექვთიმე კერესელიძეს ნარკვევში „შთასახედი“ — რომელიც არის ერთადერთი ისტორიული თეორიული ნაშრომი კილოს შესახებ.⁸

მეთოდი

ჩემი მეთოდი ეყრდნობა ექვთიმე კერესელიძის ცნობებს *მუხლების* შესახებ და მალხაზ ერქვანიძის კომენტარს, რომ „ხელნაწერი Q674 არის ბრწყინვალე მაგალითი, სადაც მკაფიოდ ჩანს ნამდვილი კილო და გამშვენებული ეტაპები“⁹ Q674 ხელნაწერიდან მე ელექტრონულად გავშიფრე გელათის სკოლის 90 საგალობელი — წმ. ექვთიმეს მიერ მითითებული როგორც სადა, მარტივი-ნამდვილი და გამშვენებული (ნ.დ.)¹⁰ ზოგი მათგანი გამოქვეყნებულიც არის (ჩხიკვიშვილი და რაზმაძე, 2010). ვცდილობდი გამეგო „ყველაფერი“, რაც არის კილო, გავაანალიზე ყველა საგალობლის მეტრი და სტრუქტურა, კომპიუტერიზებული მუსიკოლოგიის ინსტრუმენტარიუმის music21 გამოყენებით, სტატისტიკური მნიშვნელობისთვის გავზომე დროისა და ბგერის სიმაღლის ყველა ინტერვალი და ამ მონაცემებს შორის ყველანაირი ურთიერთკავშირი. ამ ანალიზებისა და მონაცემების დახმარებით, თეორიულად ვმსჯელობ — რას ვიგებთ კილოსა და გამშვენების შესახებ საგალობლების ხელნაწერებიდან და ნოტებიდან.

შედეგები

კილოსა და გამშვენებაში არსებული *გეშტალტის* ორი სახეობა არის (1) ერთგვარი სტილური „სახსრები“ (მუხლები,¹¹ რომლებსაც მე მოტივებს ვუნოდებ და (2) წინადადებები (ისევე *მუხლები*, გერმანულად *Sätze*), რომლის ნაწილები გარკვეულ გრამატიკას ემორჩილებიან და რომელიც შეიძლება იყოს ისეთივე სტერეოტიპური, როგორც მოტივები (იხ. ერქვანიძე, 2018). *გეშტალტის* ორივე სახეობას (მოტივები და მუხლები), აქვთ გარკვეული მეტრული მახასიათებლები, ცნება, რომელიც უნდა განვმარტო, ვიდრე კიდევ რამეს ვიტყვი *გეშტალტზე*, რადგან ქართული გალობის ნოტირება, ჩვეულებრივ, მეტრის გარეშე ხდება. უფრო ზუსტად, ამტიკიცებენ, რომ მისი მუხლები „გაზომვას“ არ ექვემდებარება, რადგან რომელიმე კონკრეტული ზომის გამოყენება, უმეტეს შემთხვევაში, ინვეს მათ არასწორად დაყოფას. ეს კი ტონის დამახინჯებას გამოიწვევს.¹² მართლაც, ხელნაწერებში ამგვარი დამახინჯების მრავალი მაგალითია (ერქვანიძე, 2009: IX). თუმცა, მე გამოვიყენე არა ფიქსირებული, არამედ ცვლადი მეტრი მუხლების შესაბამისად, რომლებიც ინდივიდუალურად გავაანალიზე. ამის შემდეგ, მონაცემები გვიჩვენებს ბევრ სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას „ძლიერ“ და „სუსტ“ პულსაციებს შორის (მაგ. 1) შემდეგთან მიმართებაში.¹³

⁷ გეშტალტი ავტორის ნიგნის პროექტია.

⁸ „შთასახედი“ წ, ექვთიმე: 189–191.

⁹ “Q674 ხელნაწერი შესანიშნავი მაგალითია, სადაც თვალნათლივ ჩანს სადა, ნამდვილი კილოს და გამშვენების სტადიები” (ერქვანიძე, 2006: VIII).

¹⁰ ზოგჯერ წმ.ექვთიმე ხმარობს ტერმინს „მარტივი“, როგორც ნამდვილის სინონიმს (e.g., N.d.: 525).

¹¹ წმ. ექვთიმე ამ პატარა მუხლების შესახებ წერს: „რამდენიმე საგალობელში, სადაც გამშვენებული მუხლებია, იქვე იმავე ფარდებსა და ზომებში ორნაირად დავსწერეთ.” (წმ ექვთიმე, n.d.: 190). ერქვანიძე ამ პატარა მუხლებს საქცევებს უწოდებს (2018: 485).

¹² „მეტრულ საზომს არ ექვემდებარებიან.” „თუკი მათ რომელიმე კონკრეტულ ზომას შეუფარდებთ, უმრავლეს შემთხვევაში, არასწორ განკვეთას მივიღებთ, რაც შედეგად ჰანგის დამახინჯებას იწვევს“ (ერქვანიძე: 2009: IX).

¹³ მე ვიყენებ ტერმინებს „ძლიერი“ და „სუსტი“, რადგან ისინი ნაცნობია, თუმცა არასწორი. მეტრი

- მოცემული ზომის მელოდიური ინტერვალების მაგალითები EB
- მოცემული ტიპის მელოდიური პროგრესიის მაგალითები (რაც გვეხმარება ზოგიერთის, როგორც მოტივის განსაზღვრაში)

- მოცემული ტიპის ჰარმონიის ტიპების მაგალითები¹⁴
- მოცემული ტიპის ჰარმონიული პროგრესიების მაგალითები

ჩემ მიერ აღმოჩენილ კონკრეტულ მოტივებზე ვისაუბრებ განხილვის ნაწილში.

რაც შეეხება მუხლების ჩემულ გაგებას, ამ მოხსენების ფარგლებში შემიძლია შემოგთავაზოთ მხოლოდ მონახაზი: როგორც დასავლური მუსიკის, ისე ქართული გალობის მუხლები შედგება რვა შესაძლო ნაწილისგან, რომლებსაც მე მოვიხსენიებ, როგორც: *შესავალი, თემა, მოდელი და გამეორება, გაგრძელება, პრედიკატი, შეჩერება, ხიდი და ინტერპოლაცია*.¹⁵ როგორი არასრულყოფილიც არ უნდა იყოს, ამ ტერმინებში საგალობლების ჩემულ ანალიზს ადასტურებს „ძლიერ“ და „სუსტ“ ტაქტებს შორის მრავალი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება შემდეგთან მიმართებით:

- მოცემული ტიპის მელოდიური მოტივების შემთხვევაში და
- მოცემული ტიპების ჰარმონიის შემთხვევაში.

(ეს მხოლოდ ის კატეგორიებია, რომლებიც მუხლების ხმების მიხედვით შევამოწმე).

დავუბრუნდეთ კილოს საკითხს გეშტალტის ამ სახეობების ჩრდილში, დადასტურებულად სადა, მარტივი-ნამდვილი, ჩრელი საგალობლების (მაგ. 3) ერთმანეთთან და ექვთიმეს მთლიან კორპუსთან (მაგ. 4) შედარებით, ვლინდება მრავალი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება შემდეგთან მიმართებაში:

- მოცემული ზომის მელოდიური ინტერვალების შემთხვევაში,
- მოცემული ტიპის მელოდიური მოტივების შემთხვევაში,¹⁶
- მოცემული ტიპის ჰარმონიის შემთხვევაში,
- მოცემული ტიპის ჰარმონიული პროგრესიების შემთხვევაში და
- მოცემული ტიპის მუხლების ხმების შემთხვევაში

დადასტურებულ კილოებს შორის არის ორი მნიშვნელოვანი განსხვავება, თუმცა:

1) მარტივი-ნამდვილი კილოს საგალობელი გარკვეულწილად მთლიანობაში უფრო კორპუსს ჰგავს, ვიდრე დანარჩენი ორი კილო და 2) სადა და ნამდვილი საგალობლები უფრო ჰგავს ერთმანეთს ვიდრე ნებისმიერი სხვა წყვილი.

ეს შედეგები გვეხმარება რომ შევჯეროთ დავით შულღიაშვილის, წმიდა ექვთიმესა და მალხაზ ერქვანიძის წინააღმდეგობრივი მტკიცებულებები კილოების რაოდენობის შესახებ გელათის სკოლის საგალობლებში. იმის დაზუსტებით; თუ რა მუსიკალურ მახასიათებლებს ეყრდნობიან. ეს მონაცემები გარკვეულწილად ადასტურებენ იმას, რასაც შულღიაშვილი მოიხსენიებს როგორც სადა და ნამდვილი კილოს სინონიმს, რადგან მათ მსგავსი თვისებები აქვთ. ეს მონაცემები, ასევე, გარკვეულწილად ადასტურებენ წმ. ექვთიმეს მოსაზრებას, რომ ნამდვილი კილო ძირითადი კილოა, რადგან მას ყველაზე მეტი თვისება აქვს საერთო გელათის სკოლის გალობასთან. ამავდროულად, ეს მონაცემები

შედეგა მინიმუმ ორი იმპულსისგან, რომელთაგან ერთ-ერთი შიდას მდებარეობს. იმპულსები ეს უბრალოდ პერიოდული წერტილებია, ანუ შუალედები დროში, ისინი არ შეიძლება იყოს ძლიერი ან სუსტი (Cohn, 2019).

¹⁴ კონკორდის შესახებ იხ. Diasamidze, 2008: 468.

¹⁵ ეს ხმები გამოირჩევიან თავიანთი პირდაპირი სტრუქტურული ფუნქციებით. სტრუქტურული ფუნქციების შესახებ იხ. Arndt, 2018. ბრაიან ფაერლის აქვს მსგავსი მიდგომა გურული ტრიოს ანალიზისას. Fairley (2019).

¹⁶ როგორც ჩანს, ეს წინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ უბრალო ნამდვილი კილო მარტივისგან ძირითადად, განსხვავდება უბრალო იმპროვიზაციებით ორ ქვედა ხმაში“ (Erkvanidze, 2008: XIX, N. 5 by John A. Graham), მონაცემები აქ აჩვენებენ იგივე განსხვავებას სამივე ხმაში.

გარკვეულად ამართლებენ ერქვანიძის მიერ ტერმინ კილოს გამოყენებას სამივე სახის საგალობლისთვის, რადგან ისინი სინამდვილეში სტატისტიკურად განსხვავდებიან.

მსჯელობა

თითოეული მტკიცებულება კილოების რაოდენობაზე, ეხება სამი სახის საგალობლის სხვადასხვა ასპექტს. კვლავ რჩება კითხვები, როგორ მუშაობს გამშვენება და როგორ შეიძლება კილო იყოს მისი საფუძველი? მე ვამტკიცებ, რომ ორნამენტი, იქნება ეს კილოს საგალობლისა თუ ე.წ. *სასწავლო ხმებისა* კილოს საგალობლის მისაღებად¹⁷ — გულისხმობს მუხლის ყველა ხმაში გარკვეული მოტივების გადაფარვას და ჩანაცვლებას. მიუხედავად იმისა, მიიჩნევს თუ არა ვინმე ამ გამშვენებით დაკავშირებულ საგალობლებს ცალკეულ კილოებად, ყველა კანონიკურია, რადგან ტრადიციული მოტივებით არის გაუღნთილი, კანონიკურობა კი არის საერთო ზრუნვის საგანი კილოს სხვადასხვა თეორიების მიღმა (ნმ. ექვთიმე, ნ.დ.: 189; შულლიაშვილი, 2014: xii; ნმ. ექვთიმეს ციტატა; ერქვანიძე, 2018). ქართულ გალობაში მოტივების დიდი ნაწილი შეიძლება გამომდინარეობდეს ოთხ-ნოტიანი კადანსური სურათისგან, რომელსაც მე ვუნოდეტ ვჯვარს: აღმავალი საფეხური, აღმავალი ტერცია, დაღმავალ საფეხური მეტრული მოხაზულობით: განუსაზღვრელი,

„ძლიერი“, „სუსტი“, „ძლიერი“ ვჯვარი ჰგავს, სხვადასხვა მიმართულების ორ სხვის. როგორც გვიჩვენებს მაგალითი 5, ვჯვრის სახეცვლილება შესაძლებელია ინვერსიის, ნაწილობრივი ინვერსიის, უკუქცევის, რეტროგრადული ინვერსიის, ინტერვალური შეკუმშვისა და როტაციის (ე.ი. ბოლო ინტერვალის პირველის ადგილზე გადატანის) გზით. ასევე, შესაძლებელია მეტრული პროფილის რეტროგრადირებაც.

მოტივებიანი ორნამენტაციის ცნება გვახსენებს დასავლურ პაუზას, რომელზედაც თეორიულად მსჯელობდნენ ჰაინრიხ შენკერი (1979) და სხვები, თუმცა დეტალების მიხედვით ძალიან განსხვავებულია. მოტივები შეიძლება გადაიფაროს არსებულ ნოტებს შორის ან გასწვრივ, მაგრამ ორნამენტაცია არ არის ჰარმონიული ინტერვალების გადალახვა, როგორც ეს ხშირად ხდება შემცირების დროს, ვინაიდან მოტივები ხშირად ჩნდება საფეხურის შემქმნელ ნოტებს შორის, რაც ინტერვალი არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ გამშვენება ხდება მეტრულ მუხლებზე და ცვლის მათ კონფიგურაციას. ამის საპირისპიროდ, შემცირება ხდება ამეტრიულ შრეებზე, რომლებიც საბოლოოდ მეტრულ ზედაპირად გარდაიქმნება.

თუმცა, გამშვენება შეიძლება გარკვეულწილად დაიშალოს იმ საშუალებებით, რასაც იოჰან ვოლფგანგ გოეთე მოიხსენიებს, როგორც *Anschauung*, ერთგვარი მჭვრეტელობითი ხედვა, რაც თეორიის საწყის მნიშვნელობას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, ერქვანიძე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა სამგალობლო სკოლის „საერთო კილო და მელოდიური ფესვები“ ჩანს „შეუიარაღებელი თვალთ“.¹⁸ ორნამენტი შეიძლება დაიშალოს იქ, სადაც მთელი მუხლი ჩნდება, როგორც მოტივის მტკიცებულებების ერთი წყვილი (მაგ. 6, 7)¹⁹, როგორც ეს ბევრი ლიტანიის პასუხებში ისმის; იქნებ სწორედ ამიტომ სიტყვა *მუხლი* შესაძლოა აღნიშნავდეს როგორც მუხლს, ისე მოტივს. შეიძლება კილოსა და გამშვენების ამგვარმა გააზრებამ ხელი შეუწყოს ეფექტურ რედაქტირებას, შესრულებას, იმპროვიზაციასა და შეთხზვას.

¹⁷ ხმების შესახებ იხ. Shugliashvili, 2014: XXX–XXVII.

¹⁸ „შეუიარაღებელი თვალთაც“, „საერთო კილოური და მელოდიური ძირები (ერქვანიძე, 2006: IX

¹⁹ გასაკვირია, მაგრამ თუ უფრო ჩქარი პულსი ორნამენტებულ გალობაში აღიქმება ტაქტად, ისე, რომ ნაკლები ორნამენტაციაა თითო დარტყმაზე, მინერული კილო შეიძლება გარდაიქმნეს მარტივი ნამდვილიდან მარტივში, როგორც აჩვენებს აქ მოტანილი ორივე მაგალითი.